საქართველოს ერეკლეს

№ 22

ფასი 3 მანეთი

ეროვნული

ერობის ეროვნულ-ეროვნული

გაზეთი.

კვირა 4 ივლისი 1920 წელი ქ. ოზურგეთი.

ЗАХАРИЯ ИВАНОВИЧ
РАМИШВИЛИ

14195

4 ივლისი.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ბათუმი და იმისი ოლქი ამ რამდენიმე დღის განმავლობაში საქართველოს უნდა დაუბრუნდეს. ასეთია, როგორც სჩანს, ისტორიული აუცილებლობა; ასეთია ისტორიის ნებისყოფა, ისტორიის გარდაწყვეტილება. და მართლაც, თუ მდგომარეობას კარგათ ჩავუკვირდებით, ეს სხვა გვარათ არც კი შეიძლებოდა.

არის ქვეყნები, სახელმწიფოები, რომელთაც, ზოგიერთი კუთხე რომ მოჰკვეთოთ, ჩამოაცალოთ, თავისუფლად შეუძლიათ არსებობა. მაგრამ არის ისეთი ქვეყნებიც, რომელთა თვითეული კუთხე, თვითეული პროვინცია მის ბუნებრივს, მის ორგანიულ ნაწილს წარმოადგენს და ჩამოცილება იმისი გამოიწვევს ორთავეს აუცილებელ სიკვდილს.

ასეთ ქვეყანათა რიცხვს ეკუთვნის ჩვენი პატარა სამშობლოც, საქართველო. აბა დააკვირდით მას და დამისახელეთ, რომელი კუთხე შეიძლება ჩამოვაცალოთ მას, რომ ჩამოშორებულმა ნაწილებმა ცალ-ცალკე არსებობა შეიძლონ.

თუ ეს აზრი მართალია საერთოდ, კიდევ უფრო მართალია ის სამაჰმადიანო საქართველოს დედა სამშობლოსთან დამოკიდებულების შესახებ.

რა გნებავთ, რომ ჩვენ ბათუმის მხარესთან არ გვაერთებდეს: გვარტომობა, ნივთიერი და სულიერი კულტურა, თუ ორი ათას წლოვანი ჭალარით მოსილი წარსული, რომლის სივრცეზეც ჩვენ-არა ერთხელ მწარე ცრემლი გვდენია და ხშირათ კიდევ საერთო ბედის ღიმილიც, სამშობლო ქვეყნის დიდებაც გვინახავს.

ორ წელზე მეტია, რაც ის, მშობელი ქვეყნის საუკეთესო ნაწილი, იმისი მარჯვენა თკალი, დედა სამშობლოს მოსწყდა და ულმობელ ბედის წყალობით უცხოთა საჯიჯგნი შეიქნა. ვისი ხელი გინდათ, რომ ამ მცირე ხნის განმავლობაში მას მტრულათ არ შეხებოდეს, ვისი ხელი გინდათ, რომ ამ მცირე ხნის განმავლობაში მას დასაფლობად არ წაპოტინებოდეს: ბათუმზე პრეტენზიას აცხადებდენ ოსმალები, ბათუმზე პრეტენზიას აცხადებდენ ძველი და ახალი რუსეთის წარმომადგენლები, ბათუმის ხელში ჩაგდებას ცდილობდენ სომხები, აზერბეიჯანელები, ინგლისელები, და მათი პოლიტიკის საერთო ჭიდილში, მათი პოლიტიკის ულმობელ ხლართებში სასიკვდილოდ სულს ღაფავდა და კვნესოდა, ბათუმის მხარე და მასთან ერთად მთელი საქართველო.

ბათუმი საქართველომ დაჰკარგა იმ დროს, როცა საქართველო პოლიტიკურათ ჯერ კიდევ სამარეში ესვენა; მას საქართველო კვლავ იპრუნებს იმ დროს, როცა ქართველი დემოკრატიის ძლიერი მარჯვენით საქართველო უკვე მკვდრეთით აღდგენილია. ბათუმის შემოერთებით ჩვენ სამუდამოთ გვეხსნება გზა ევროპისაკენ. დღეიდან ჩვენ თავისუფლად შეგვეძლება დავეწაფოთ ევროპის კულტურას და გავსწიოთ წინ ბრწყინვალე მომავალისაკენ.

საუბარი მკითხველთან.

გუშინ და დღეს *).

III.

ყველა ეს ორგანოები, თვითეული თავის ფარგლებში: სამაზრო ერობა—მაზრის, სათემო—თემის, ხოლო ქალაქის თვითმართველობა—ქალაქის ფარგლებში აწარმოებს და განაგებს მრავალ სხვა და სხვა დარგის საქმეებს: ზრუნავს მეურნეობის შესახებ, მრეწველობის, ვაჭრობა—აღებმიცემობის, ექიმობის, სწავლა-განათლების, გზებისა და მიმოსვლის, წესრიგის შესახებ და სხვა.

თვითეულ თვითმართველ ერთეულს: სამაზროს, სათემოს, თუ ქალაქისას ჰყავს თავისი პატარა პარლამენტი, ანუ საპჭო. საბჭო იმუშავებს კანონებს და ცხოვრებაში ატარებს საჯაროდ

*) იხ. „ვ. ერ. მოამბის“ № 20.

აღმასრულებელი ძალის—მილიციის საშუალებით.

მაგრამ ერთი თემის მოქმედება რომ მეორე თემის მოქმედებას არ დაუპირდაპირდეს, ყველა მათი მოქმედება—სამაზრო ეროობისას, ხოლო სათემო და სამაზრო ეროობათა საქმიანობა კი—ქალაქთა თვითმართველ ორგანოების საქმიანობას; რომ მათ შორის სრული თანხმობა და ჰარმონია სუფევდეს, ამისათვის არსებობს ყველა კუთხის და მათი თვითმართველ ორგანოების გამაერთიანებელი უმაღლესი ორგანო, რომელიც ზევით მოვიხსენეთ—ეს არის სახელმწიფო თავისი პარლამენტით, რომელიც არჩეულია უაღრესად დემოკრატიული საარჩევნო წესით, და პარლამენტის მიერ არჩეული და მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა, რომელიც ცხოვრებაში ატარებს პარლამენტის მიერ გამოცემულ კანონებს.

ადგილობრივი მმართველი და თვითმართველი ორგანოების, ანუ პატარა რესპუბლიკების საქმეა, როგორც ზევით ვსთქვით, თავიანთ ფარგლებში თავის საშინაო საქმეებზე ზრუნვა. უმაღლესი ორგანოს, სახელმწიფოს, საქმეა კი, როგორც მთელი ქვეყნის საშინაო, ანუ ყველა თვითმართველობათა კეთილდღეობის შესახებ, აგრეთვე სახელმწიფოს საგარეო საქმეებზე ზრუნვა.

ამნაირათ, სახელმწიფოსა და მის შემადგენელ ნაწილებს, ადგილობრივ თვითმართველობებს, ანუ პატარა-პატარა რესპუბლიკებს შორის მსგავსებაც არის და განსხვავებაც. მზგავსება იმაშია, რომ როგორც სახელმწიფოს, ისე თვითმართველობებს ჰყავთ თავისი საკუთარი პარლამენტი, ანუ საბჭო; ჰყავთ თავისი მთავრობა—გამგეობა; აქვთ საკუთარი ხაზინა, სამომსვლო საშუალებანი, ფოსტა, სასამართლო, სკოლები, მილიცია და სხვა. მაგრამ თვითმართველობებს არ შეუძლიათ იყოლიონ ჯარი, არ შეუძლიათ მოსჭრან ფული, გამოაცხადონ ომი და სხვა. ყველა ეს შეადგენს მხოლოდ უმაღლესი ორგანოს, ანუ მთელი რესპუბლიკის და იმისი მთავრობის უფლებას.

თვითეული კუთხის და იმისი თვითმართველობის კეთილდღეობა დამოკიდებულია როგორც ადგილობრივ, აგრეთვე ყველა დანარჩენ თვითმართველობათა საქმეების წარმატებაზე. ამიტომ, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე თვითეული თვითმართველობაც ცალ-ცალკე უნდა გამოდიოდენ და გამოდიან კიდეც მთელი სახელმწიფოს ინტერესებიდან. ამნაირათ, სახელმწიფო და ერი, თავისი უმეტესობის, დემოკრატიის სახით ერთი მეორეს ინტერესებს ემსახურებიან და ერთი მეორეს ჰფარავენ.

ასეთია ის სახელმწიფო წყობილება, რომელიც ქართველმა დემოკრატიამ შექმნა თავისი ხანგრძლივი თავდადებული ბრძოლით.

უწინ ჩვენში მეტი იყო დოვლათი, მაგრამ ხალხი მაინც გაჭირვებას განიცდიდა, ნახევრად მშიერი და ტიტველი დაეხეტებოდა და ეს იმიტომ, რომ სახელმწიფო ძალა-უფლება ხალხის მჩაგვრელებს ეპყრათ ხელში და არ აძლევდენ ხალხს საშუალებას თავისი მარჯვენი და ჭკუა—გონება თავისი საკუთარი კეთილდღეობისათვის ამოუშავებიათ.

მსოფლიო ომმა სავსებით შეანთქა ქვეყნის დოვლათი, გაანადგურა მრეწველობა, ძირს დასცა ქვეყნის ეკონომიური ძლიერება, რასაც შედეგათ მოჰყვა ხალხის ამოძრავება და ძველი წყობილების სამუდამოთ დასამარება.

ქართველი ხალხი იძულებული შეიქნა რუსეთის ანარქიას გამიჯნოდა და თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოეცხადებია, რასაც შედეგათ მოჰყვა სახალმწიფო ძალა-უფლების მის ხელში გადასვლა, მისი სრული პოლიტიკურათ გაბატონება.

დღეს ქართველი ხალხის ბედი მის საკუთარს ხელშია, კიდევ მეტი,—მის ხელთ არის მთელი ერის, მთელი სამშობლო ქვეყნის ბედიც და ამიტომ უმთავრესი პასუხისმგებელიც ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობაში არის თვითონ ქართველი მშრომელი ხალხი.

შესძლებს ის ამ მძიმე პასუხისმგებლობის სათანადოთ შეგნებას, გაუწევს ის სამშობლოს ნამდვილ ხაზაინობას და მიიყვანს მას სრულ სამშვიდობო ნავთსადგურში? დარწმუნებული ვართ, რომ კი, რადგან ამის თავდებია, როგორც მისი წარსული, აგრეთვე მისი დღევანდელი თავდადებული და მიზან შეწონილი რევოლიუციური ბრძოლა და შემოქმედებითი ნიჭი.

მ—რი.

ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ:

— ჭანჭათის თემის გამგეობას მიეცეს ღალის ფონდიდან სესხათ ოცდა ათი ფუთი სიმინდი ჯარში გაწვეულ პირთა ყანების დასათესათ.

— ჯუმათის თემის გამგეობას მიეცეს სესხათ ოცდა ათი ფუთი სიმინდი ძლიერ ღარიბებისა და ომში გაწვეულ ოჯახთა დასახმარებლათ.

— ხე-ტყის საწარმოვო ქარხანაში მოსამსახურე პირთა ჯამაგირები განისაზღვროს შემდეგ ნაირათ: დაენიშნოს თვეში:

— 1. გამგეს—9.000 მან. 2. ბუხგალტერს 6500 მან. 3. უფროს ნოქარს 6.000 მან. 4. ზეინკალს 6.000 მან. 5. უმცროს ზეინკალს 4.500 მან. 6. დარაჯს 2.000 მან. 7. ღამის ყარაულს 3.000 მან,

8. ტყის მცველს 3.000 მან. 9. დურგალს 5.500 მან. 10 მეკამეჩეს 3.500 მან.

— დაეთმოს საბაჟოს გამგეს საბაჟოს საჭიროებისათვის ერთი დუჟინი—საბეჭდავი მანქანის ლენტი და ხუთი პაჩკა გადასაღები ქაღალდი.

— მიენდოს გამგეობის წევრს შ. ჭოჭუას საბაჟოს მოსამსახურეთა მათ მიერ მოთხოვნილ საგნებით დაკმაყოფილება შესაძლებლობის ფარგლებში.

— ჩოხატაურის თემის გამგეობას მოეთხოვოს წერილობითი განმარტება იმის შესახებ, რომ მათი გამგებლობისა და პასუხისმგებლობის დროს ჩოხატაურის საწყობში აღმოჩნდა საქონლის დანაკლისი 23.993 მანეთისა.

— შეძენილ იქნას ქუთაისის სამაზრო ერობიდან რკინის გზის რელსები, რომელთა ანგარიშში მიეცეს სამასი ათასი (300.000) მანეთი.

— ამ რელსების ქუთაისიდან გადმოტანა დაევალოს გამგ. წევრს კ. ქავთარაძეს, რისთვის ის გაიგზავნოს ქ. ქუთაისში.

— შეძენილ იქნას ნიგოითში განზრახულ წისქვილისათვის მატორი ცენტრალური კოოპერატივის ყავშირისაგან 275.000 მ.

— მიეცეს ორასი ათასი მანეთი ტეხნიკურ განყოფილებას მდ. სუფსაზე (ნაგომარს ზევით) ხიდის გასაკეთებლათ.

— აღიძრას შუამდგომლობა მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რათა ჩიბათის თემს სახალხო სახლისა და ხიდისათვის საჭირო ხის მასალა უფასოთ დაეთმოს ტყიდან.

— შეძენილ იქნას აკეთის მამულისაგან სასიმინდე, წაბლის მასალისაგან ნაშენები და კრამიტით დახურული 10.000-მდე.

— დაინიშნონ: დიანოსე წულაძე აკეთის საცდელ-საჩვენებელ მინდვრის მუდმივ მუშათ და ვარლამ ჭეიშვილი 1 მარტიდან ა. წ. შტატით განსაზღვრული ჯამაგირით.

— დაინიშნოს პლატონ ლორია გზის დარაჯათ 1 მაისიდან ა. წ.

— ფერშალი ნ. მახარაძე დათხოვნილ იქნას სამსახურიდან თავის მოვალეობის შეუფერებლობისათვის 1 ივნისიდან ა. წ.

— გამგ. წევრს შ. ჭოჭუას მიეცეს ერთი კვირის თავისუფლება 1 ივნისიდან ა. წ.

— მიეცეს უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელს სამი თვის: იანვრის, თებერვლისა და მარტის ჯამაგირები სრულად.

— აღიძრას შუამდგომლობა მომარაგების სამინისტროს წინაშე, რომ ბახმაროს საჭიროებისათვის მიეცეს 1000 ფუთი პური და 100 ფუთი შაქარი.

— ამასთანავე მიეცეს ჯანმრთელობის საზოგადოებას 500 ფუთი სიმინდი ერობის საშუალებიდან.

თემთა დადგენილებიდან.

საქმიანისერის თემი.

— დაუყოვნებლივ დაარსდეს შრომის კომისიები სამ-სამი კაცისაგან შემდგარი თვითეულ სოფელში; კომისიებს ევალებათ ყოველ მიზეზს გარეშე და უპირველეს ყოვლისა დამუშავება იმ მიწებისა თავისი კუთხის ძალებით, რომლებიც ეკუთვნის ჯარში გაწვეულ ჯარის-კაცებს და გვარდიელებს; კომისიების ხელმძღვანელობა და მათი კონტროლის გაწევა ევალება თემის გამგეობას.

— დაარსებულ იქნას მეომართა და მათი ოჯახების დამხმარე კომიტეტი 7 კაცისაგან შემდგარი თემის გამგეობის თავმჯდომარის ლ. ყენიას თავმჯდომარეობით. კომიტეტში შედიან: 1) ექიმი ოსილოვი, 2) ექიმის თანაშემწე ვ. მგელიშვილი, 3) საბჭოს წევრი ალ. ხუნდაძე, 4) ევტიხი ჭელიძე, 5) თეოფილე თევზაძე და 6) გ. ჭკუასელი. კომიტეტის მიერ შეგროვილი თანხა განაწილდეს ასე: ადგილობრივი საჭიროებისათვის (მეომართა ოჯახებს) 3/4-და ერთი მეოთხედი კი გაიგზავნოს ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობის განკარგულებაში.

— მთავრობის მიერ გამოცხადებული მობილიზაცია და ვალდებულთა სასწრაფო გაწვევა დაუყოვნებლივ დამთავრდეს გამგეობის მიერ ყოველგვარი სასტიკი ზომების მიღებით.

— ვინაიდან მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გვარდიის შექმნა ადგილობრივ ორგანიზაციას დღემდის ვერ მოუხერხებია, თუმცა გვარდიის შექმნის საჭიროება არა ერთხელ ყოფილა დადასტურებული, საბჭო გამოსთქვამს ამის გამო თავის წუხარეობას, მაგრამ, იღებს რა მხედველობაში დღევანდელ სერიოზულ ხანას რესპუბლიკის არსებობისათვის, ადგენს: ხვალ 16 მაისს მოწვეულ იქნას საერთო მიტინგი. მიტინგის ხელმძღვანელობა და მოხსენების გაკეთება მომენტზე დაევალოს გამგეობის წევრს გ. ჭკუასელს. გვარდიის სამსახურის ახსნა განმარტების და მისი მნიშვნელობის დახასიათების შემდეგ მოეწეროს მოხალისეთა ჩაწერა გვარდიაში საიმედო და ლოიალურ პირთაგან.

— საექიმო პუნქტის მოწყობის და მისი დამთავრების საქმეს საბჭო სთვლის ეთ უსაჭიროეს და აუცილებელ საგნათ, ამისათვის პუნქტის სავსებით დამთავრება და მისთვის საჭირო საგნების დამზადება ევალება გამგეობას და აღძშენებელ კომისიას. საბჭო წინადადებას აძლევს მათ დაიჭირონ მუშობის მსვლელობა.

შუა-სურგების თემი

— დაევალა თემის თავმჯდომარეს შეაკეთოს კანცელარიის ბინა და შეიძინოს საჭირო ინვენტარი.

— მუდმივ სათემო საგზო კომისიაში არჩეულ იქნენ ერთი წლით: 1, ქიშვარდი ბერიშვილი; 2, ფარნაოზ მალაქიასძე ტრაპაიძე; 3, ილარიონ ბერიშვილი; 4, იოსებ ფილიპეს-ძე შათირიშვილი და 5, ვლადიმერ ბეკოს-ძე შათირიშვილი.

— არჩეულ იქნა გიორგი ტრაპაიძის ობლების ოპეკუნათ ასალო ლაზარეს ძე ტრაპაიძე და მზრუნველათ ემდე ივანეს-ძე ტრაპაიძე.

— გიორგი ოჩხიკიძის ობლების ოპეკუნათ არჩეულ იქნა ვასილ დავითის-ძე ტრაპაიძე და მზრუნველათ არტემონ ერმაღოს-ძე ტრაპაიძე.

— არჩეულ იქნენ: 1, მიწათა განმანაწილებელ სარაიონო კომისიაში—ანთიმოზ ტრაპაიძე; 2, სათემო კომისიაში—ნესტორ ბერიშვილი, მიხეილ ტრაპაიძე და ვლადიმერ შათირიშვილი.

— სავსებით გადახდეს შეწერილი ფულები ოსიყმე ტრაპაიძეს და ფარნაოზ შათირიშვილს, ხოლო მომავალ გადასახადების გაწერის დროს ისინი იქნან შეტანილი არა პირველ კატეგორიაში.

— საერობო ყრილობაზე გასაგზავნათ არჩეულ იქნა გრიგოლ შათირიშვილი.

— სასწრაფოთ იქნას აკრეფილი თემზე გაწერილი ფულები; ვინც ვადაში არ შემოიტანს, გამოერთვას საწინდარი.

— დაევალოს თემის თავმჯდომარეს მიიღოს ენერგიული ზომები ქურდების აღმოსაჩენათ.

— მასვე დაევალა წარმოდგენა ნაბეღლავის გზის ხარჯთ-აღრიცხვისა.

— ითხოვოს განათლების განყოფილებას დაარჩაროს თემის სკოლაში მასწავლებლის დანიშნვა.

თავ-სურგების თემი.

— საბჭომ დაავალა გამგეობას, სადაც საჭირო იქნება, სწრაფად გახსნას გზები.

— უფროსი მილიციონერი ტრიფონ სეხნოს-ძე კიკვაძე სამსახურის შეუფარდებლობის ნიადაგზე, თანახმად მისი თხოვნისა, განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან.

უფროსი მილიციის თანამდებობაზე ერთხმად არჩეულ იქნა ვასილ სოლომონის-ძე ძნელაძე.

საქმიო განყოფილებიდან.

გურიის თემთა გამგეობებს.

ცირკულიარულათ

ოზურგეთი სამაზრო ერობის გამგეობა, მიუხედავათ თავისი ნივთიერი საღსრის სიავიწროვისა, ითვალისწინებს რა სახალხო ჯანმრთელობის ფართე სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, ყოველივე ღონისძიებით ხელილობს საექიმო დარგის შესაფერ სიმაღლეზე დაყენებას და მის შეძლების და გვარათ იდეალურათ მოწყობას. ამ მიზნით ერობის გამგეობამ ოზურგეთის ცენტრალურ საავათმყოფოში მოიწვია ექიმი ქირურგი, დონის უნივერსიტეტის პროფესორი ბ. კუჩეკი, რომელსაც შეუძლია გაკეთოს საავათმყოფოში ყოველგვარი რთული ოპერაცია. ამის შემდეგ გურიის ხალხს ეძლევა საშუალება ჩვენი მაზრისვე ფარგლებში ისარგებლოს იმ საექიმო დახმარებით, რომლისთვისაც ის დღემდე დიდის დაბრკოლებით და შეუძლო ხარჯების გაღებით მიმართავდა სხვა და სხვა ქალაქებს (თფილისს, ბათუმს, ქუთაისს და სხ.).

საავათმყოფოთი სარგებლობისათვის დაწესებულია დღიური გადასახადი 150 მანეთი, რაც დღევანდელ პირობებში მცირე ფასად უნდა ჩაითვალოს, მით უფრო რომ ამ ანგარიშში შედის წამლისა და ულუფის ფასებიც.

გაცნობებთ რა ზემოხსენებულს, გთხოვთ გაცნოთ თემის მცხოვრებთ ამ მომართვის შინაარსი, რათა მათ იცოდენ ერობის ცენტრალური საავათმყოფოს არსებობა და საჭიროების დროს მიმართონ იქ, ოზურგეთში, საექიმოთ. ლედანზე ხელს აწერენ: გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ბერეჟიანი. საექიმო განყოფილების გამგე ს. აბაშიძე, საქმის მწარმოებელი ირ. ბასილია.

სამეურნეო განყოფილებიდან

მეფუტკრეობა გურიაში

კაიხანია, რაც მეფუტკრეობა შემოყვარდა და ეაკვირდები, თუ როგორი შედეგი (ნაყოფი) აქვს მეფუტკრეობას საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში. ჩემმა „ღოღიალმა“ დამარწმუნა, რომ მეფუტკრეობას ჩვენში დიდი მომავალი აქვს და, რომ მისი (ფუტკრის) რაციონალური (გონიერული) მოვლა ეიცოდეთ, ჩვენებური თაფლი შინაურ ბაზარს გადარჩებოდა, გასაყიდათ გარეთ გავიტანდით, შინკი უშაქრობას სულ აღარათ ჩავაგდებდით, არამედ პირიქით, რადგან თაფლი შაქარზე უტკბესიც არის და უფრო შემარგოც, „ყოველ სნეულებათა მკურნავი“. ჩემდა სამწუხაროთ, თუ საბედნიეროთ, ლემდე გურიაში მე თვით არ მყოლია ფუტკარი. საბედნიეროთ მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ვი თუ მყოლოდა ისიც ისეა ერგებოდა ზის აენადგურ-აეფორიაქებინათ, როგორც ჩემს „კურდღლის ალა-დიდებას“ მოუვიდა ნასაკირალისა და თათრობის დროებაში... ყოველ შემთხვევაში მეფუტკრეს თუ ფუტკარი არ მყავდა, ეს სხვაზე მეტად მე მწყინდა...

მარილი გითხრათ, და სიმარილე არც კი მეგონა, თუ გურიაში და ისიც ბარათ მეფუტკრეობა დიდი სახეირო-სარფიანი დარჩებოდა, რადგან ჩვენში ტყეში გაანაგვურეს ცაცხვები, იგივე ტყე გახადეს თხებისა და შინაური საქონლის საძოვარი, გაშობილა ადგილები, რაყები თაფლოვან ქურჩუმელათი სავსე (ქურჩუმელის ყვავილობა ორ თვეზე მეტს გრძელდება და ისიც შემოდგომაზე, რაც დიდათ სასარგებლო იყო ფუტკრისათვის) საყანეთ და სამოსახლოთ აქციეს. ყველა ამან ფუტკრის საქმე დიდათ შეაფერხა, ერთ დროს დიდი კრიზისიც დაუდგა მეფუტკრეობას. სურები, ეს იშვიათი საფუტკრე ადგილი, ფუტკრის ავათმყოფობამ (სიმყაყემ) და ტყეების გაკაფვამ საფუტკრე ადგილების რიცხვიდან თითქმის ამოშალა...

საბედნიეროთ, მეფუტკრეობის ასეთი კრიზისი დღეს განეიტებულია, რადგან ბარათ მოშენდა აკაციები და ბალები. და რომ ამიერ-დან გურიაში თამამად, ურისკოთ შეიძლება ფუტკრის სარგებლიანი მოვლა, ამაში მე დამარწმუნა ლანჩხუთმა და ოზურგეთმა. ქ. ლანჩხუთში. შიგ ბაზარში, ფუტკარი ყ ვს მოქ. კალისტე ჩაჩავას, უველის თითქმის უნაკლულოთ, სკები აქვს დადან-ბლატის ყაიდის, ხმარობს შინაურად გაკეთებულ ციბრიტას (ცენტროფუგი), სასწორზე დამდგარი სკა, მისი ყოველ დღიური წონვა (კანტროლი) ამტკიცებს, რომ აკაცია ჩვენში იძლევა უმთავრეს ღალას და ხელის გუებით, უმთავრესად კი უბრალო ფიჭის მიცემით, ერთ გირს შეუძლია მოგცეს თითქმის ფუთი წმინდა თაფლი. გასული წელს, 23 აპრილს (ძვ. სტ). ოზურგეთში, ბაზრის თავში მოვიძიე გაპარული ნაყარი, ავკრიფე, წავიყვანე შინ და უჩარჩო სკის უქონლობის გამო დავაბინავე უბრალო ჩვენებურ გეჯა—ბუკში. ეს ნაყარი „ბეღნიერი ფეხის“ დარჩა. მესამე დღეს შეგმატა კიდევ ასევე მოლეული ნაყარი, მაგრამ ნამეორედა—უფრო სუსტი. წლევანდელ აღდგომის კვირემდი ორივე შამა პაპურ ბუკში მყავდა. ეს იყო მხოლოდ მისი ერთად ერთი ხელის წყობა, რომ ორივეს ვაჭამე ორი გირ. სილა შაქარი—გადადუღებული. აღდგომის მესამე დღეს ორივე ოჯახი ბზიდან გადავაბინავე ვეროპაში, გადავსხი ჩარჩოიან სკებში (დ.დან-ბლატის). ცხადია, გადასმა კარგია, მაგრამ ეგეც ცხადია, რომ რაც უნდა ხელოვნებით გადასვა ფუტკრის ოჯახი, ის ფორიაქდება ერთი კვირას, თუ მეტს მოწესრიგებას მოუნდებიან. ერთი კვირა კი არა, ფუტკრისათვის ერთ დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს (არის შემთხვევა, როცა ერთ დღეს ფუტკარი მატულობს 15—18 გირ). ამას გარდა, რაკი შინ არ ვიყავ და სხვას მიხედვა არ შეეძლო, მე უდროო დროს, წინასწარ ავანსად, გადავადგი მეორე სარფიული—საკუბნოთ, რომელშიაც ჩავდგი 10 ჩარჩო, მშრალი, წინად ნახმარი, მზა ფაქით სავსე. წელს ხეხილის და აკაციის აყვავების დროს გამუდმებული ქარი იყო, რამაც ყვავილები დააზიანა, ფუტკარი კი დააზარალა, ბევრი ქარმა მუშაობის დროს იმსხვერპლა. მოსალოდნელი იყო ჩემს ფუტკრებს სარჩოზე მეტი ვერ მოერჩინათ, იმიტომ მე, როცა ეს საჭირო იყო, მოვიწვევ სახლში ზემო სარფული—საკუბნოთ მოეშორებინათ და მით ბუდე მაინც არ დაგბრკოლებინათ. ამისი აცლა სახლში შეეგვანებინათ, მაგრამ მაინც ეცადათ და ჩემი ოჯახი დიდათ კმაყოფილი დარჩენილიყო, რადგან ორივე სკას 16 ჩარჩო მაინც გაევსო.

10 ივნისს შემთხვევით მეც ვინახულე ჩემი ფუტკრები—ორივე ძლიერი. საკუბნოთ—ჩარჩოების დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ ის თავის დროზე აეღოთ, 15-20 გირ. მეტი თაფლი იქნებოდა (თუ თავის დროზე არ ავაცალეთ ზეიდან ქვეით ბუდეში ჩაიტანენ). თითო დაბეჭდილი ჩარჩო იწონის წმინდა თაფლს (სარაჯს) 4 გირ. ამ რიგად ორმა ოჯახმა მომცა (16 ჯერ 4) 64 გირ., ისიც არა წესიერად მოვლილმა და ისიც ქალაქის უბანში. დღეკანდელ ფასობაზე გირ. თაფლში, ჩვენს თაფლზე უფრო უვარეში, იძლევიან ას მანეთს, მაშასადამე ორმა სკამ მომცა ექვსი ათას მანეთზე მეტი—ცხადია, მეტი წესიერი მოვლით, უქარო წელიწადს, და უკეთეს ადგილას მეტის მოცემა შეეძლება. ვისაც ჩემი არ სჯერა, მობრძანდეს ჩემს ქოხში, ქ. ოზურგეთში, ქუთაისის ქუჩაზე და თავის თვალით შეამოწმოს ჩემ მიერ დაწერილი. ყოველივე ეს მარწმუნებს, რომ ფუტკრის გონივრული მოვლა: ჩარჩოიანი სკები, ხელოვნური დაბშრალი ფიჭის მიცემა, ციბრუტის ხმარა და თაფლოვან მცენარეთა მოშენებით გურიაში ბარადაც ხელსაყრელი დარჩება ფუტკრის მოშენება—ყველაზე მეტად კი, თუ რა შეუწყობს ხელს ჩვენში მეფუტკრეობის აღორძინებას, ამაზე შემდეგ.

ა.ვ. წულაძე

ნარიონალის გაროშემო.

სიამოვნებით მიიღო მცხოვრებლებმა ცნობა, რომ ერობას გაეაუწყვეტია ახლო მომავალში შეუდგეს „ნარიონალის“ ამოშრობას. მოსწრე პირები მოგვითხრობენ, თუ რა საშინელი განადგურება ერგო ოდესღაც სწლად დასახლებულ მდიდარ სოფლებს ნარიონალის მახლობლათ: ეკალს,—ჯაპანას, ქორეის უბანს, ბუკნარს და სხვა. მცხოვ-

რებლები სრულებით ამოსწყდენ. დაწვრილებითი ცნობები ხელთ არა გვაქვს. მაგრამ ნაშდვილია ის, რომ არც ერთი მკვიდრი არ დარჩენილა ნარიონალის ახლოს. გაჭირვებით და უმიწოებით შეშეწროებული ხალხი ამ საშინელ საფრთხეს არ უშინდება და ხშირია გადმოსახლება ამ მდიდარ ნოყიერ მიწებზედ სხვა სოფლებიდგან. რამოდენიმე წლებს შემდეგ ჩამოსახლებულთა ხსენებაც ისპობა.

ძველი ბიუროკრატიული მთავრობა არ აქცევდა ხალხის ინტერესებს ყურადღებას და ასეთი საშინელი უბედურება გრძელდებოდა შეუმჩნევლად. დღეს კი ჩვენი დემოკრატია თავისი რჩეული ხელადებით მეთაურობით აკეთებს ხალხის საკეთილდღეო საქმეს. საჭიროა ჩვენ მხარი დაუჭიროთ და გაკაჟებული ენერგიით დავაგვირგვინოთ ჩვენი სისარგებლო საქმე.

ნარიონალის ამოშრობა აგვაშორებს საშინელ უბედურებას და მასთან მოგვცემს ბედნიერებას. საჭიროა სპეციალისტებმა, მცოდნე პირებმა, ეს საქმე ყურად იღონ და გეგმები შეადგინონ. მე მივაქცევ დაინტერესებულ პირთა ყურადღებას შემდეგ აზრს:

„ნარიონალის“ მახლობლათ მდინარე რიონს ერთვის მოზრდილი მდინარე „ხევის წყალი“, რომლის ჩამოშვება ნარიონალში ტეხნიკურათ არავითარ დაბრკოლებას არ გამოიწვევს. ამით გაიწმინდება და მოისილება წიალი ნარიონალისა, მდინარე გაიკეთებს კალაპოტს და მიეცემა შემდეგ გასავალი გზა, ან ისევ რიონში ან სხვა მიმართულებით. საყურადღებოა შემდეგი: გეგმა როცა ხევის წყალი ნარიონალში გამოიყვანება, უნდა მიეცეს გასავალი გზა რკინის გზის მარცხენა კედრით ერთი ვერსის მოშორებით. ამისათვის უნდა გაიკრას არხი ერთი ან ორი. ასეთი არხით მდინარე ჩაედინება ლიანჩუთამდის, შემდეგ კი სხვა მიმართულება უნდა მოინახოს. ამ პროექტის გარშემო საჭიროა სპეციალისტთა მუშაობა. ამ პროექტით ჭაობიანი ადგილი—ნარიონალი გაიწმინდება და ეს მშვენიერი მიდამო შეიქნება ასპარეზი მდიდარ მეურნეობისა. შეიძლება არხით ისარგებლონ მცხოვრებლებმა, როგორც იაფ მოხერხებულ გადასაზიდ საშუალებით.

ერმალოზ ბერძენიშვილი.

თემთა საყურადღებოთ.

შემოქმედის თემის გამგეობის, ა/წ. 18 მაისის № 721 მოამართვაში აღძრულ კითხვებზე ერობის გამგეობა განმარტავს:

1. სავალდებულო არის თუ არა იმ კერძო პირებისა, თუ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც რაიმე მიზნისთვის ფულებს აგროვებენ, თემში სხვა და სხვა გასართობების მოწყობით, ან შეწირულობების შეგროვებით, ან სხვა რაიმე გზით, წინასწარ აცნობონ ამის შესახებ თემის გამგეობას?

— დროებით, სანამ ერობის უფლებები ამ დარგში საკითხები გაირკვევოდეს, ერობის გამგეობ.ს საჭიროებულოთ მიაჩნია, რომ ორგანიზაციებმა თუ კერძო პირებმა, რომლებიც სხვა და სხვა კულტურულ თუ საქველმოქმედო მიზნით ფულებს აგროვებენ თემის ფარგლებში, წინასწარ განუცხადონ და ნებართვაც მიიღონ თემის გამგეობისაგან ამის შესახებ.

— 2. სავალდებულო არის თუ არა—შემგროვებლებმა ყოველივე ანგარიშები გააცნონ გამგეობას იმ ფულების შესახებ, რომელთაც სათემო დანიშნულება ექნებათ. და ეს ფულები-კი ინახებოდეს თემის გამგეობის კასაში და იხარჯებოდეს გამგეობის კანტროლის ქვეშ დანიშნულებისაებრ?

— თუ ეს ეხება თემის გამგეობის მიერ გაწერილ გადასახადებისაგან შეგროვილ ფულებს, ცხადია, ის ინახება გამგეობის კასაში და იხარჯება არა თუ მისი კანტროლის ქვეშ, არამედ მის მიერ წლიური ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად. ხოლო თუ შეკითხვა შეეხება კერძო პირებისა თუ ორგანიზაციების მიერ კულტურულ ან საქველმოქმედო მიზნით შეგროვილ ფულებს, არა თუ სავალდებულო არ არის, არამედ სასურველიც არაა ასეთი ფულების თემის კასაში შენახვა და მისი თემის გამგეობის კანტროლის ქვეშ ხარჯვა, ხოლო თემის გამგეობას ევალება იცოდეს ნამდვილათ დანიშნულებისამებრ დაიხარჯა შეგროვილი ფულები თუ არა.

ომურგეთის საამაზრო საერობო მეოთხე მორიგი ყრილობა.

(მოკლე ანგარიში.)

ЗАХАРИЯ ИВАНИШВИЛИ
РАМИШВИЛИ

გაგრძელება.

22 აპრილის სხდომა. სხდომა გაიხსნა დილის 11-საათზე.

ყრილობა მუხლობრივ იხილავს საფინანსო კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტს შტატებისა და ჯამაგირების მომატებისას, რომლის ზოგიერთი მუხლის გარშემო იმართება კამათი.

— კამათის დასრულებისას ყრილობა ხმის უმრავლესობით ღებულობს შემდეგ დადგენილებას: ერობის მოსამსახურეებს მიემატოს ჯამაგირები 1 თებერვალიდან ა/წ. თანახმად დამფუძნებელი კრების მიერ 10 თებერვლის ა/წ. დეკრეტით მიდებული ნორმებისა ს/ს მანეთამდე ციფრის დამრგვალებით მოსამსახურეთა სასარგებლოთ.

1—აპრილიდან-კი მიდებული იქნას შემდეგი შტა-

ტები და ჯამაგირები:

სამდივნო:

მდივანი 1 თვეში 7.000 მან. საქმის მწარმოებელი 1 თვეში 4.000 მან. მისი თანაშემწე 2; თვეში 2.800 მან. მანქანიო გადამწერი 2 თვეში 2.500 მან. რეგისტრატორი 2 თვეში 2.500 მან.

ბუჰგალტერია:

ბუჰგალტერი 1. მისი თანაშემწე 1. 1-ლი ხარისხის მოანგარ. 3; თვეში 4.000 მან. 2-რე ხარისხის მოანგარიშე 5; თვეში 3.500 მან. 3-მე ხარისხის მოანგარ. 3; თვეში 3.000 მან. მოლარე 1 თვეში 5.000 მან. არტელჩიკი 1 თვეში 4.000 მან.

სამსედრო ადრიცხვის განყოფილება

საქმის მწარმოებელი 1 თვეში 4.000 მან. მისი თანაშემწე 1 თვეში 2.800 მან. რეგისტრატორი 1 თვეში 2.500 მან. მანქანაზე გადამწერი 1 თვეში 2 500 მან.

ტექნიკური განყ.

განყოფილების გამგე ინჟენერი 1 თვეში 8.000 მან. სამაზრო ტექნიკი 1 თვეში 5.000 მან. უბნის ტექნიკები 5; თვეში 4.500 მან. ჰიდრო-ტექნიკი 1 თვეში 4.500 მან. ტექნიკი განყოფილებაში 1 თვეში 4.500 მან. გზის მეთვალყურე 2; თვეში 2.500 მან. გზის მუშები 10; 2.000 მან.

საადგილ-მამ. განყოფ.

განყოფილების გამგე 1 თვეში 7.000 მან. საქმის მწარმოებელი 1 თვეში 4.000 მან. მისი თანაშემწე 1 თვეში 2.800 მან. ინსტრუქტორი 2 თვეში 4.000 მან. მანქანაზე მომუშავე 1 თვეში 2.500 მან.

სახალ. განათლ. განყ.

განყოფილ. გამგე 1 თვეში 8.000 მან. საქმის მწარმოებელი 1 თვეში 4.000 მან. მისი თანაშემწე 1 თვეში 2.800 მან. რეგისტრატორი 1 თვეში 2.500 მან. მანქანაზე მომუშავე 1 თვეში 2.500 მან. რაიონის ინსტრუქტორი 2; თვეში 6.500 მან. სკოლის გარეშე განათლ. ინსტრუქტორი 1 თვეში 6.500 მან.

საქიმო განყოფილება

განყ. გამგე ექიმი 1 თვეში 8.000 მან. საქმის მწარმოებელი 1 თვეში 4.000 მან. რეგისტრატორი 1 თვეში 2.500 მან. პუნქტის ექიმები 11—სტაჟის მიხედვით 7—8.000 მან. პუნქტის ფერშლები 32 სტაჟის მიხედვით 4.000—5.000 მან. ბებია ქალები 11 თვეში 3.000 მან. მოწყალების და 2 თვეში 2.000 მან. სანიტარი 2 თვეში 2.00 მან. პუნქტის მსახური 8 თვეში 1.200 მან.

აფთიაქი

ცენტრ. საწყ. გამგე პროვიზორი 1 7.000 მ. მისი თანაშემწე 1 ჩოხატ. აფთიაქ. გამგე 1 4.500 მ. ხვარბეთის აფთიაქ. გამგე 1 3.400 მან. გამგის თანაშემწენი 2 3000—4000 მ. მოლარე 1 2.500 მ. დარაჯი 3 2.000 მან.

სავაჭრო-სამრეწველო განყ.

განყოფილების გამგე 1, მისი თანაშემწე 2, საქონლის შემძენი აგენტი 1, საქმის მწარმოებელი 1, მისი თანაშემწე 1, ექსპედიტორი 1, ოზურგ. საწყ. გამგე 1, მისი თანაშემწე 1, მუშა 1, ნატანების, ლანჩხუთის და ჩოხატურის საწყობის გამგენი 3, მათი თანაშემწეები 3, საწყობის მომუშავე 3.

წიგნის მადაზია

გამგე ოზურგეთში 1, მისი თანაშემწე 1, მოლარე, 1, გამგეები ლანჩხ. და ჩოხატ. 2, მოლარეები 2.

სადურგლო სახელოსნო

გამგე 1, უფროსი მუშა 1, მუშა 1 ხარისხისა 2, მუშა 2 ხარისხისა 2.

ბურახ სტეხობა.

პურის მცხობელი 2, გამყიდველი 1.

სამწყადური

მეწყველი 1, თანაშემწე 1.

გაზეთი.

რედაქტორი 1, რედაქციის მდივანი 1, ექსპედიტორი 1.

ქარავანი

შოფერი 1, თანაშემწე 1, მეეტლე 2, მეხანიბე 2, მეურმეები 6.

სამეურნეო ნაწილი

ზედამხედველი 1 თვეში 4.000 მან., ზეგზოვე 1 თვეში 2 300 მან; ღამის დარაჯი 2 თვეში 2.300 მან. მსახური 10 თვეში 2.300 მან.

სავეტერინარო განყ.

განყ. გამგე (იგივე უბნ. ექიმი) 1 თვეში 8 000 მან. უბნის ვეტერინარი 2 სტაჟის მიხედვით 7—8.000 მან. ვეტერინარი ფერშლები 6 სტაჟის მიხედვით 4—5.000 მან. დარაჯი 3 თვეში 1.200 მან.

სტატისტიკური განყ.

განყოფილების გამგე 1 თვეში 5.900 მან. მოანგარიშე 2 თვეში 3.400 მან.

აგრონომიული განყ.

აგრონომი (იგივე აგრ. განყ. გამგე და ოზურგეთის რაიონ. აგრ.) 1 თვეში 8.000 მან. რაიონ. აგრ. უმაღ. განათ. 3, თვეში 7.000 მან. ინსტრუქტორი 5 თვეში 4.500 მან. ტექნიკი 4 თვეში 4.000 მან. მუშა 10 თვეში 2.500 მან. საქმის მწარმოებელი 1 თვეში 4.000 მან. რეგისტრატორი 1 თვეში 2.500 მან. მებაღე 1 თვეში 4.500 მან.

მაზრის მილიცია

მილიციის უფროსი 1 თვეში 7.500 მან. მისი ანაშემწე 3 თვეში 6.500 მან. უფროსი ცხენოსანი მილიციონ., უმცროსი ცხენოსანი მილიციონერი, თემის მილიციის უფროსი, თემის მილიციონერი. მდივანი სამმართველოში 1 თვეში 4.000 მან. საქმის მწარმოებელი 3 თვეში 3.000 მან. რეგისტრატორი 1 თვეში 2.500 მან. მანქანაზე მომუშავე 1 თვეში 2.500 მან. დარაჯი 1 თვეში 2.300 მან.

3. უფლება მიეცეს გამგეობას განსაზღვროს ჯამაგირები მოსამსახურეთა სავაჭრო-სამრეწველო განყოფილებაში მთელი შემადგენელი ნაწილებით (სასურ. ვანე., ეიგნის მადაზია, სადურგლო სახელოსნო, ზურის სატაობი, სამჭედური), გასცეთ „გურიის ერობის მოამბე“-ზე მომუშავეთა სარედაქციოს, გამგეობის რწმუნებულებისა, ბუჰგალტერისა და მის თანაშემწისა, ავთიოქის ცენტრალური საწყობისა და რაიონულ ავთიოქების გამგის თანაშემწეთა და შეგირდებისა.

4. დაეკისროს გამგეობას კანონიერად ერობის მოსამსახურეებზე ყველა ის დამატებები ჯამაგირზე, რაც საათანადო კანონით იქნება მიღებული სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის მხოლოდ 1 იანვარის შემდეგ.

5. დაეკისროს გამგეობას მიიღოს ზომები მოსამსახურეთა სურსათ-სანოვაგით დასაკმაყოფილებლათ.

6. გამგეობის თავმჯდომარისა და წევრთა თვიური ჯამაგირები განისაზღვროს შემდეგ ნაირათ:

1. თავმჯდომარეს თვეში აქვიოს 10.000 მან.

2. გამგეობის წევრს 9.000 მან. ამას გარდა მიეცეს გამგეობის თავმჯდომარეს საწარმომადგენლო ხარჯებისათვის წელიწადში 18.000 მან.

7. გამგეობის თავმჯდომარისა, წევრთა და მოსამსახურეთა დღიური მაზრის გარეშე მგზავრობის დროს განისაზღვროს თვიური ჯამაგირის ერთი მეოცდათედი ($^1/_{30}$) ნაწილის რაოდენობით.

მაზრაში საერობო საქმეების გამო მგზავრობის დროს-კი გამგეობას უფლება მიეცეს განსაკუთრებულ შემთხვევაში გასცეს დღიურები, რომლის რაოდენობას საზღვრავს თვით გამგეობა.

8. სამაზრო საერობო ხმოსნების დღიური განსაზღვრულ ერობაში მოწაწილეობის დროს განისაზღვროს ხმოსი (300) მანეთით.

3 საათზე ყრილობა შესწყტა ერთი საათით.

განახლებისას ყრილობა შეუდგა გასაგლის ხარჯთ-აღრიცხვის მეხლობრივ განხილვას.

სასკოლო განყოფილების ხარჯების განხილვის დროს გამგეობის წევრი ბერეტიანი მოიხსენებს ყრილობას, რომ გამგეობამ ღიათ დასტოვა საკითხი უმაღ. დაწყ. სასწავლებლების შესანახ ხარჯების შესახებ, ვინაიდან მას არა აქვს არავითარი საშუალება, რომ გაიღოს ის დიდი თანხა, რომელსაც შეადგენს მასწავლებელთა ძირითადი ჯამაგირების 50%, რომელიც გაღებული უნდა იქნას ერობის თანხიდან და ის დანაკლისი, რომელიც ყოველ თვიურად ღებულობს გამგეობა მთავრობიდან კრედიტებს ამ სასწავლებლებზე დეკრეტების თანახმად; ამიტომ ეს საკითხი გამგეობამ დასტოვა ყრილობის გადასაწყვეტათ.

ყრილობა აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ადგენს: გადადებული იქნას ერობის თანხიდან უმაღ. დაწ. სასწავლებლებისთა შესანახად 8 307 783 მან., რომელი თანხაც შეტანილ იქნას 1920 წ. ხარჯთ აღრიცხვაში.

სამკურნალო განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს სადაოთ გახდა საკითხი საექიმო პუნქტების გახსნის შესახებ. დავა გამოიწვია ნიგვზიანისა და ჯურუყვეთის თემთა წარმომადგენლების შეუმდგომლობამ, რომ წინა ყრილობის თანახმათ დაარსდეს საექიმო პუნქტი სად. ჯუმათში და ნუ იქნება ის მოხსნილი, როგორც ამას გამგეობის ახალი პროექტი გულისხმობს.

ხმ. ცეცხლაძე მხარს უჭერს ხსენებულ თემთა შუამდგომლობას და ამტკიცებს საექიმო პუნქტის უპირატესობას სად. ჯუმათში.

გამგეობის თავმჯდ. ს. ჭანტურიშვილი აცხადებს, რომ ს. ჯუმათში პუნქტი გაიხსნება მეორე რიგში, ხოლო პირველ რიგში-კი უპირატესობა უფრო სუფსასა და ჩოჩხათს უნდა მიეცესო.

ყრილობა ადგენს: პირველ რიგში იქნას სასრულეში მოყვანილი გამგეობის მიერ წინა ერობების მიერ მიღებული დადგენილება სად. ჯუმათში საექიმო პუნქტის გახსნის შესახებ.

ჩოჩხათის თემში საექიმო პუნქტის გახსნის შესახებ კი დაეკისროს გამგეობას გამოიკვლიოს რამდენათ აუცილებელია ჩოჩხათში საექიმო პუნქტის დაარსება და თუ საჭიროთ დაინახავს, გახსნის და შემდეგ მოახსენებს ერობობას.

ასევე მოიქცეს გამგეობა ჯუმათის თემში საექიმო პუნქტის გახსნის შესახებ.

სავაჭრო-სამრეწველო განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ ყრილობამ დაადგინა: გამოირიცხოს ხარჯთ-აღრიცხვიდან სავაჭრო-სამრეწველო განყოფილების ყველა დარგები, ვინაიდან არაა საკმაოთ გამორკვეული სწორი ციფრები განსაკუთრებულ ხარჯებისა; დაეკისროს გამგეობას მოაწყოს ეს განყოფილება, განსაზღვროს საჭირო ხარჯები და დამატებით მოახსენოს მომავალ ყრილობას.

ყრილობამ აგრეთვე დაადგინა:

საბჭერ გადადებული იქნას მე-9-ჯ მე-5 მუხლის 1

და 2 პუნქტში ნაჩვენები ხარჯები.

უკანასკნელათ ყრილობამ ზემოაღნიშნულ შესწორებათა შემდეგ მიიღო შემდეგი ნუსხა გამგეობის 1920 წლის შემოსავალ-გასავლისა:

ხარჯები:

§ 1 მუხ. 2. სამხედრო განყ. შენახვა 145,500 მ. მუხ. 3. სამაზრო მილიციის შენახვა — 7.390.628 მ. სულ § 1 7.536.128 მ.

§ 2 მუხ. 1. გამგეობის შენახვა — 608.900 მ. მუხ. 2. ერობის სამდივნო — 397.900 მ. მუხ. 3. სამეურნეო ნაწილი — 166.200 მ. მუხ. 4. ბუჰგალტერია — 683 300 მ. მუხ. 5. სტატისტიკური განყ. — 239.500 მ. მუხ. 6. საარეგიზიო კომისიის ჯილდო 10.000 მ. მუხ. 7. საერობო ყრილობის ხარჯები — 100.000 მ. მუხ. 8. დღიური და სამივოსავლო ხარჯები — 10.000 მ. მუხ. 9. დახმარება ერ. მოსამ. გამ. განკ — 100.000 მ. სულ § 2 2 315 800 მ.

§. 4. მუხლი 1. ტეხნიკური განყ. შენახვა — 477,100 მ. მუხლი 2. ახალი გზების გაყვანა — 1,963,236 მ 18 კ. მუხ. 3. კაპიტალური რემონტი — 3,487,289 მ. 21 კ. მუხ. 4. ჩვეულებრივი რემონტი — 5,347,066 მ. 36 კ. მუხ. 5. გამოკვლევის წარმოება — 183,000 მ. მუხ. 6. დამზადება და რემონტი ინსტრუმ. და სხ. — 200,000 მ. სული § 4 — 11,657,691 მ. 75 კ.

პარ. 5 მუხ. 1. სახალ. განათლ. განყოფ. — 1,206,700 მ. მუხ. 2. პირველ დაწყ. სასწავლ. შენახვა — 10,576,192 მ. მუხ. 3. ღმაღლეს დაწყ. სასწავლ. შენახვა — 8,307,783 მ. 33 კ. მუხ. 4. ჩოხატაურის საერობო გიმნაზია — 630,885 მ. სულ პარ. 6 — 20 721,560 მ. — 33.

§ 6 1. სოციალური მზრუნველობა 600.000 მ. სულ 6 600.000 მან.

პარ. 7. მუხ. 1. სამკურნალო განყ. შენახვა — 246.100 მ. მუხ. 2. ამბულატორიების შენახვა — 2.545.100 მ. მუხ. 3. საფერშლო პუნქტების შენახვა — 1.050.300 მ. მუხ. 4. საებიდემიო რაზმი — 183.200 მ. მუხ. 5. აფთიაქები — 2.446.300 მ. მუხ. 6. მოკლე ვადიანი კურ. ფერშლებ. 30.000 მ. სულ პარ. 7. 6.501.000 მან.

პარ. 8. მუხ. 1. სავეტერინარო განყ. შენახვა — 245.000 მ. მუხ. 2. სავეტერინარო ამბულატორია — 581.700 მ. მუხ. 3. საქონლ. ჯიშის გასაუმჯობ. პუნქტები — 717.000 მ. მუხ. 4. მოულოდნელი ხარჯები — 30.000 მ. სულ პარ. 8 — 1.573.700 მ.

პარ. 9. მუხ. 1. აგრონომიული პერსონალის შენახვა — 1.374.500 მ. მუხ. 2. აგრონ. კაბინეტების მოწყ. და შენახ. — 494.000 მ. მუხ. 3. აგრონ. პუნქტების შენახვა — 429.460 მ. მუხ. 4. ღონისძიება მებაღეობა-მებოსტნეობის გასაუმჯობესებლათ — 16.000 მ. მუხ. 5. მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა — 127.500 მ. მუხ. 6. მანქანები და იარაღები — 241.000 მ. მუხ. 7. ხორბლის მოძრავი საწმენ. შეძენა — 10.000 მ. მუხ. 8. ბრძოლა მავნე მწერ. და ცხოველებ. 45.000 მ. მუხ. 9. სკოლის გარეშ. ცოდნის გავრცელება 100.000 მ. მუხ. 10. დახმარება სამეურნ. ამხანაგობებს 10.000 მ. მუხ. 11 მუტერიოლოგ. სადგ. მოწყობა 16.400 მ. მუხ. 12. თხილის სახმობი ფაბრ. მოწყობა ოზურ. 106.570 მ. მუხ. 14. საადგილ-მამულო განყ. შენახვა 1.280.700 მ. სულ პარ. 3.816.530 მ.

პარ. 11 მუხ. 1. დახმარ. ახალ დაარსებულ თემებს 30.000 მან. მუხ. 2. ტელეფონის ქსელის ხარჯები — 100.000 მ. მუხ. 3. სუბსიდიები 30.000 მ. მუხ. 4. გაზ. „გურიის ერობის მოამბე-"ს ხარჯ. 205.680 მ. სულ პარ. 11 365.680 მ. სულ ხარჯები 55.088.090 მ. 8 კ.

შემოსავალი:

პარ. 2. მუხ. 1. საფუთო გადასახადი 1.200.000 მ. მუხ. 2. საჯარიმო გადასახადი 10.000 მ. სულ პარ. 2 1.210.000 მ.

პარ. 3. მუხ. 1. დახმარება მთავრობისაგან 23.609.011 მ. 57 კ. მუხ. 2. ანაზღაურება ხარჯებისა 2,825,000 მ. მუხ. 3. შემოსავალი სწავლის ფულიდან უმაღლეს დაწყ. სასწავლ. და ჩოხატ. გიმნაზ. 700,000 მ. სულ პარ. 3. 27,134,011 მ. 67 კ.

პარ. 4. მუხ. 1 ჯარიმა და სხვა შემოსავალ. შემოსავალი 100,000 მ. მუხ. 2. გადასახ. ავტომობილზე და ეტლზე 200,000 მ. მუხ. 3. მოსაგები ვაჭრობა-მრეწ ოპერაციებ. 14,643,000 მ. მუხ. 4. ფონდის მიწების გაყიდვისაგან მოსალოდნელი შემოსავალი 11,645,078 მ. 41 კ. სულ პარ. 4. 26,588,078 მ. 41 კ.

პარ. 5. მუხ. 1. სამრეწველო და სავაჭრო 2% გადასახ. 100,000 მ. მუხ 2. საქაღალდე გადასახ. ღვინოზე 50,000 მ. სულ პარ. 5. 150,000 მ.

პარ. 6. მუხ. 6-1. ქალაქის მამულებიდან 6,000 მ. სულ პარ. 6. 6.000 მ. სულ შემოსავალი 55,088,090 მ. 8 კ.

სესხის შესახებ

გამგეობის თავმჯდომარე ს. ჭანტურიშვილი, აგონებს რა ყრილობას იმ ვალდებულებებს, რაც მან დააკისრა გამგეობას და აღნიშნავს რა ამ ვალდებულებათა შესრულების სიძნელეს იმ ფინანსიურ პირობებში, რომელშიდაც ამ ჟამად იმყოფება გამ-

გეობა, სთხოვს ყრილობას ნება დართოს გამგეობას ხუთ-მილიონიანი გრძელ-ვადიან სესხის აღებისა.

ამის შესახებ ყრილობა უკამათოთ და ერთხმად ადგენს: ნება დაერთოს გამგეობას აიღოს გრძელ ვადიან სესხათ ხუთი მილიონი (5.000.000) მანეთი საწარმოოო მიზნით და აგრეთვე ვალების გასასწორებლათ.

საერეკვიზიო კომისიის არჩევა.

ყრილობის თავმჯდომარე ბ. ჩხიკვიშვილი წინადადებას აძლევს ყრილობას, რომ მან საერეკვიზიო კომისიაში, ნაცვლათ ყოფილ წევრთ, რომლებსაც არ შეუსრულებიათ თავისი მოვალეობა და ერთხელაც არ მოუხდენიათ რევიზია გამგეობის მოქმედებისა და ანგარიშებისა, აირჩიოს ახალი წევრები.

ყრილობა საერეკვიზიო კომისიაში არჩევს შემდეგ ხმოსნებს: ბეკ. ხუნდაძეს, კ. დანელიას, მ. რამიშვილს, კ. წიდოსანსა და გ. შალაკაძეს.

უკანასკნელათ ყრილობა ბ. ჩხიკვიშვილისაგან წინადადებით ადგენს: ურდოობის უველა დადგენილებები შეგიდეს ძალაში დღეიდანვე ჟურნალზე ხელ-მოწერილად.

და იხურება საღამოს 7-საათზე.

დასასრული.

„ᲒᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ“ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ Ქ. ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ.

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ქალ. ოზურგეთში არსებულ დამხმარე კომიტეტის მიერ დღემდე შეგროვილია და გადაგზავნილია დანიშნულებისამებრ 90286 მან. 50 კაპ. შემომწირველთა სია:

ვაჟთა გიმნაზიის მასწავლ.—4350 მ. და მოწაფ.—3186 მ.; ქალთა გიმნ. მასწავლ.—1650 მ. და მოწაფ.—2260 მ.; უმაღლ. დაწყ. სასწ. მასწ.—2000 მ. და მოწაფ.—1479 მ.; 1 საქალ. დაწყ. სასწ. მასწ. 500 მ. ⁄ მოწ. 1500 მ. 2 საქალ. სასწ. მასწ. 400 და მოწაფ.—790 მ., 3 საქალ. დაწყ. სასწ. მასწ.—450 მან; და მოწაფ.—539 მ.; 4 საქალ. დაწყ. სასწ. მასწ.—450 მ.; და მოწაფ.—901 მ.; 5 საქ. პროფეს. სასწ. მასწ.—150 მ.; და მოწაფ.—192 მ.; სოფ. ექადიის დაწყ. სასწ. მასწ.—250 მ. და მოწაფ.—178 მ.; 50 კ., სოფ. ოზურგ. დაწყ. სასწ. მასწ.—350 მ.; და მოწაფ.—346 მ.; ოზურგეთის ხაზინის მოსამს.—1317 მ.; ოზურგ. სამხედრ. ლაზარეთმა—4084 მ.; გურიის ოლქის მომრიგ. მოსამ. ყრილ.—925 მ.; ოზურგ. უბნ. სამომარ. სასამართლ. მოხ. 466 მ.; კვირიკეთის უბნის მცხოვრებლებმა—2620 მ.; მოიდანახის უბნის მცხოვრ.—4458 მ; მოიდანახის უბნის მეორე ერთეულის მცხოვ.—2598 მ.; ქუთაისის ქუჩის უბნ. მცხ. 2340 მ.; ზვანის 1 უბნის მცხოვრებ—6220 მ.; ზვანის 2 უბნის მცხოვ.—3220 მ., მაღლა სერის უბნის მცხოვრ.—3611 მ. ოზურგეთის ქალაქ. თვითმართვ. მოსამსახ.—3885 მ.; ლაშე-გაკირულის უბნის მცხოვრ.—2081 მ.; გიორგი მურვანიძემ.—500 მ., გრ. კოპლატაძემ—200 მან.; ანტონ მუჯირმა—1000 მ. ხუთას-ხუთასი მან.: ლ. ხანთაძემ, არ. თედორაძემ, რუბ. ჩხაიძემ, ა. კალანდაძემ, ელ. ანთელიძემ, საურთიერთო ბანკმა, მეურმეთა კანტორამ, ვ. გორგაძემ, წიგნ. მაღაზია „განათლება“-მ, ლ. აბაშმაძემ. ათას-ათასი მან.: „კოოპერ. „ეკონომიამ“, სახელოსნო ბანკმა. ნოე აბაშმაძემ—600 მ. სამას-სამასი მან.: მეეტლების სასადილომ, ლ. თოიძემ, ვ. მამაკაიშვილმა; ორას-ორმოცდა ათი მ.: გ. ჯინჭარაძემ, ს. მიქატაძემ ორას ორასი მ.: ვ. ტუტუჩავამ, პ. მეგრელაძემ, რესტ. „ძმობამ“, ყ. ბერიძემ, ფ. თავაძემ, შ. ცერცვაძემ, ნ. დარჩიამ, ნ. მიქაბერიძემ, ს. ურუშაძემ, შ. ჯოგოტიშვილმა, ი. კვირკელიამ, ი. პატარავამ, ა. ორაგველიძემ, მ. მუჯირმა, ტ. ჩხატარაიშვილმა, ა. გოგატაძემ, კ. გალოგრემ, ს. კოპლატაძემ, ყ. მეგრელაძემ, ხ. ბარამიძემ, მ. სამსონიამ, მ. გაფრინდაშვილმა, ს. მჟავანაძემ, კ. აბაშმაძემ, ვ. ქილიფთარმა, გ. ამბ-ძე სელუქვაძემ, ე. კალანდარიშვილმა, ბ. ვასაძემ, ვ. კვაჭანტირაძემ, გ. ქერქაძემ, ი. ვაშალომიძემ, ს. გოგიბერიძემ, გ. კალანდაძემ, ბ. როყუამ. ას ორმოცდა ათი მ.: ი. ჩხატარაიშვილმა, ა. ტიღურაძემ, ა. თოიძემ, ა. ხმელიძემ, ა. ღლონტმა, ი. ურუშაძემ, ე. დარჩიამ, მ. გორდელაძემ, გ. სიმვულიდიმ, ლ. კალანდაძემ, მ. აბაშმაძემ, ი. მელუამ, ს. ჩიტაიშვილმა, გ. ჟღენტმა. ას ოცდა ხუთი მ.: მ. სიხარულიძემ, გოლიაძემ. ასი-ასი მ.: ლ. სალუქვაძემ, ი. კომახიძემ, ვ. ღლონტმა, ვ. და ყ ხინთიბიძეებმა, ი. და ქ. ცერცვაძეებმა, დ. ასათიანმა, ჯ. ლომაძემ, კ. ჩხაიძემ, ვ. კოპლატაძემ, ა. კამპანიოვსკიმ, ს. ჩხიკვიშვილმა, ი. ცერცვაძემ, დ. ღლონტმა, ი. ჩიკაშუამ, ს. გირკელიძემ, ვ. ჩიგოგიძემ, ი. ცხომელიძემ, ა. ცერცვაძემ, ს. ჩავლეშვილმა, ვ. თავაძემ, გ. ლომთათიძემ, ბ. დარჩიამ, ი. მიქატაძემ, მ. ჩიტაიშვილმა, ფ. ღლონტმა, ი. ნაკაიძემ, ი. ჩოლაბარგიამ, ი. სვანიძემ, ს. სვანიძემ, მ. წინწიბაძემ, გ. ვასაძემ, ი. კვაჭანტირაძემ, ე. ვასაძემ, ვ. ანდღულაძემ, ი. დარჩიამ, გ. თიკანაძემ, ს. თალაკვაძემ, ი. მენაბდემ, თ. გობრონიძემ, ყ. საფაროვმა, ს. მუჯირმა, კ. სალუქვაძემ, ა. კვაკვაძემ, ა. თალაკვაძემ, ხ. მახარაძემ,

ი. დოლიძემ, ა. და ნ. ჩიტაიშვილებმა, ლ. კალანდაძემ, ლ ქადეიშვილმა, ს. გორგოშიძემ, ნ. გობრონიძემ, ლ. მათითაიშვილმა, დ. დოლიძემ, ვ კუჭუხიძემ, გ. კიშინსკიმ, გ. გოგუაძემ, ფ. სოსელიამ, ს. ჩიტაიშვილმა, ბ. მენაბდემ, ა. კალატოზიშვილმა, მ. ჯაყელმა, კ. დანელიამ, პ. ბაჯელიძემ, ვ სალუქვაძემ, პ. ჩხაიძემ, გ. აბაშმაძემ, ე. ჩაყუამ, ს. სკანკონჩაიშვილმა, ა. ფალიდიმ, კ. კალანდაძემ, გ. მაისურაძემ, ლ. ზურაბაშვილმა, ა. კილაძემ, ე. ქათამიძემ. ი. ხომერიკმა, ი. კუკულაძემ, ს. კუკულაძემ, ი. წეროძემ, ლ. ბურჭულაძემ, ი. გოგიბერიძემ, მ. ანანიძემ, ი. ჩოლაბარგიამ, თ. ვასაძემ, კ. ერქომაიშვილმა, ი. ჩხაიძემ, კ. დემუროვმა. რგა თუმანი: ა. ხოხლენკომ. შვიდ თუმან ნახევარი: რ. აბაშმაძემ, ჩხატარაიშვილმა. ხუთ-ხუთი თუმანი: ს. ბერძენიშვილმა, ს. კვირღელიძემ, ვ. ღლონტმა, ს. მიქელაიშვილმა, ი. კვაჭანტირაძემ, ი. ხომერიკმა, დ გოგუაძემ, ნ. ცეკლაძემ, ბ. ქადეიშვილმა, თ. ლომთაძემ, ვ. ფირცხალაიშვილმა, დ. სარალიძემ, ი. ტრაპაიძემ, ვ. ქორაიამ, ო. ეფენდიევმა, ა. მექვაბიშკილმა, ა. საძსონიამ, კ. ორაგველიძემ, ვ. ანდღულაძემ, რამიშვილმა, ტ. გორდელაძემ, ი. გოგოტიშვილმა, ი. დონაძემ, ი. დონაძემ, ქ. ცეცხლაძემ, ბ. გობრონიძემ, ლ. კიშინსკიმ, ი. ეკზოვმა, თ. კალანდარიშვილმა, ი. გირკელიძემ, კ. მამინაიშვილმა, ურუშაძემ, ი. მგელაძემ, ვ. ღლონტმა, ფ. პანოპულოებმა, ბარამიძემ, მიქელაიშვილმა და ნაპოვნი ათი მანეთი.

დამსმარე კომიტეტი

ფეცდოვის გასწორება.

ვინაიდან აკეთისა და ჭანჭათის თემებში შეკრებილ „გორის ფონდის“ შემოწირულების ანგარიშში, რომელიც მოთავსებული იყო „გურიის ერობის მოამბის“ № 16 ნომერში, დაშვებულია კორექტურული შეცდომა, ამისათვის ხელახლა ვბეჭდავთ ამ ანგარიშს.

ოზურგეთის სამაზრო „გორის ფონდის“ კომიტეტმა მიიღო აღნიშნულ ფონდის გასაძლიერებლად და დანიშნულებისამებრ გადასაგზავნათ აკეთისა და ჭანჭათის თემებიდან სულ ოცდა სამი ათას ექვსას რვა მან. 50 კ. (23608 მან. 50 კ). ამ თანხის შესავსებათ მოხსენებული თემების სოფლებმა შემდეგი წვლილი გაიღეს: სოფ. ვანმა—2070 მ., ზომლეთმა—3300 მან., ჭანჭათმა—6599 მ. გაგურმა—3291 მან., ზედა-აკეთმა—4473 მ. და 50 კ. და ქვედა-აკეთმა—3875 მან.

რადგან ამ ფულებში 150 მან. ყალბი აღმოჩნდა, ამისათვის სამაზრო კომიტეტმა მიიღო 23459 მ. 50 კ., ვინაიდან წარმოდგენილ ფულებში ერთი მანეთი მეტი აღმოჩნდა. ყალბი ბონები და ფულების მიღების კვიტანცია ჩაიბარა შემოწირულების წარმომადგენელმა რაფაელ გოგუაძემ.

ოზურგ. სამ. „გორის ფონდის“ კომიტეტი.

განცხადებანი.

ა. წ. 15 იულისიდან ქალ. ოზურგეთში გაიხსნება ბირველ-დაწყებითი სასწავლებელი მასწავლებელთა მოსამზადებელი საზაფხულო ბედაგოგიური კურსები: მსმენელები უნდა გამოცხადდენ 14 ივლისისთვის. მეცადინეობა გაგრძელდება 10 სექტემბრამდე. მსმენელებს მიეცემა მხოლოდ ბინა.

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა.

გურიის საერობო ერილობის მიერ არჩეულმა სარეგისტრო კომისიამ ამა წლის 28 ივნისიდან დაიწყო ერობის დაწესებულებათა რევიზია. კომისიამ უკვე დაათვალიერა ერობის მთავარი საწყობები, ცენტრალური საავადმყოფო, წიგნის მაღაზია, აფთიაქის საწყობი, სადურგლო სახელოსნო, აფთიაქი და ფურნე.

ასლო მომავალში კომისია გაუკეთებს აგრეთვე რევიზიას გურიაში არსებულ უველა საერობო დაწესებულებებს.

თანამშრომელთა საყურადღებოთ.

ჯსთსოფთ თანამშრომელთ სისტემატიურათ აგზავნონ საამდროო და სხვა ხასიათის წერილები, რომელნიც უნდა იწერებოდენ ნა-

ხელვარი თაბახის სიგრძეზე შუა გაეოფილ ფურცლის ცალგვერდზედ, სუფთად და გარკვეულათ. თუ წერილი ფსევდონიმით იწერება, რედაქციას მაინც უნდა აცნობოს ავტორმა თავისი ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს.

ეოველგვარი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ოზურგეთი, „ზურიის ერობის მოამბე“-ს რედაქციას.

რედაქცია.

„ზურიის ერობის მოამბე“-ს რედაქცია აცხადებს თემების და აგენტების საეურადღებოთ, რომ ახლო მომავალში განზრახულია ეველა ანგარიშების გასწორება იმ თემებთან და აგენტეოთან, ვისზედაც დარჩენილია გადაუხდელი გასეთის ფული.

აცნობებს რა ყო�სენებულს, რედაქცია სთხოვს თემებს და აგენტებს საჩქაროთ გამოგზავნონ გასეთის ფული თანახმათ იმ ანგარიშებისა, რომელნიც ამ დღეებში წარედგინებათ მათ რედაქციისაგან.

ფული უნდა გამოგზავნოთ შემდეგი მისამართით: ოზურგეთი, სამაზრო ერობის გამგეობას „ზურიის ერობის მოამბე“-ს რედაქციისთვინ.

---

1. ოზურგეთის ზაკთა გიმნაზიაში მისაღები ოხოვნები საბუთებიოურთ მიიღება 1920 წლის 20 აგვისტოს შემდეგ (სწავლის ფულის წარმოუდგენლად) კანცელარიაში.

2. თავისუფალი ადგილები არაა მეორესა, მეოთხესა, მეექვსესა, მეშვიდესა და მერვე კლასებში ამ კლასებში მოწაფეთა მიღება არ მოხდება.

3. დანაჩენს კლასებში, განსაკუთრებით მეხუთე კლასში, მოწაფეები მიიღებიან მოწმობაოა შეჯიბრებით.

4. პირველ კლასში მიიღებიან სახალხო სკოლებში სრულ კურს დამთავრებულნი გამოცდის ჩაუბარებლად ამავე წესით.

5. მოწმობის მისაღები [illegible] ენკენისთვეში შეიძლებელია.

3 965
1920

გიმნაზიის დირექტორი ალ. ფეერაქ.

ოზურგეთის სამაზრო ერობის აგრონომიულ პუნქტში [ეოფილ სამეურნეო სკოლაში] 5—6—7 და 8 იელისს ივანე ვაფალოვის ხელმძღვანელობით იქნება სანაკვანებელი მუშაობა სიმინდის მარგლა და თოხვა სამარგალი ძანქანით. მსურველთ შეუძლიათ მობრძანდეს და ადგილობრივათ გაეცნონ. იქვე შეიძლება ასსნა-განმარტება კარ თოფილის წესიერათ მოვლაზე და ადგილობრივათ დათვალიერება დამუშავებულ კარტოფილისა.

აგრონომიული განყოფილება

ვსთხოვ ეველა პირს, ვისაც აქვს რაიმე ცნობა, ან სიტეეიერი, ან წერილობითი ბგარაკ ბასმარეს შესახებ, მოგვაწოდოს, ან ბარადაო მე, ან ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობას. ლიტერატურული ცნობები შეიძლება ერობის მიერ შესწიდულ იქნან. ადნიშნული ცნობები საჭიროა აგარაკ ბასმაროს გამოკვლეეისათეის და მისი ჯეროვანი მოწეობისთეის როგორც საკურორტო ადგილი.

ЗАХАРИЯ ИВАНОВИЧ
РАМИШВИЛИ

ექ. ვ. ცეცხლაძე.

რედაქტორი—კოლეგია.

მამოძრავებელი—ოზურ. სამაზრო ერობის გამგეობა.

სტამბა ალექ. ა. კალატოზიშვილისა ქ. ოზურგეთი.